ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1425613

ნომერი: AR1241941

თარიღი : 06.08.2014

გაცემის თარიღი : 14.08.2014

გაცნობის თარიღი : 14.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ლაცაბიძე პ/ნ 01025003196
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 20 ბ. 54

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.06.2014წ. #1343136 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/06/2014წ. #AR1241941 განცხადებით მომართა გოჩა ლაცაბიძემ და მოითხოვა სამსახურის 23.06.2014წ. #1343136 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ონიაშვილის ქ. #34-ში, შპს „GBC“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.12.041.018) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის ინფორმაციით, შეთანხმებულ პროექტში სასაწყობე ფართობის (466.3 კვ.მ) ნაცვლად მითითებული უნდა იყოს ავტოსადგომის ფართობი (466.3 კვ.მ). სამსახურმა გადაამოწმა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 23.06.2014წ. #1343136 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის მიხედვით, – 2.85 და 0.0 ნიშნულის გეგმებზე დატანილია ავტოსადგომები, შესაბამისი ფართობებით – 272.0 და 195.3 კვ.მ. (ჯამში 466.3 კვ.მ.). ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროექტით არ არის გათვალისწინებული სასაწყობე ფართობები. გამომდინარე აღნიშნულიდან, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს გოჩა ლაცაბიძის 08/06/2014წ. #AR1241941 განცხადება;

2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.06.2014წ. #1343136 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასაწყობე ფართობის (466.3 კვ.მ) ნაცვლად დაფიქსირდეს ავტოსადგომის ფაროობი (466.3 კვ.მ)

3.ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.06.2014წ. #1343136 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.06.2014წ. #1343136 ბრძანებასთან ერთად;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
